

1
1957

ნახ. თ. ჯიშეგრიგოვის

ეროვნული
ბიბლიოთეკი



თელავის რაიონის, სოფელ კურდელაურის ენგელსის სახ. კოლმეურნეობის მელორეობის ფერმაში სამუშაოდ მისულმა კომკავშირელებმა წინ წასწიეს მეცნოველეობის საქმე. კურდელაურელი ახალგაზრდების წარმატებამ გამოძახილი ჰპოვა საქართველოს მეცნოველეობის სხვა რაიონებშიც.

— რაც ახალგაზრდებმა გამოაცოცხლეთ ჩვენი კოლმეურნეობის უკელა ცერენი, სახე იცვალა ცველაცერენი.

ო რ გ ა

№ 5

მარტი. თბილისი. გამოცემის დღი XXXV ვაკე 2 მარ.

1957

მესამე თვეა, რაც ბენედიქტე ტექნიკუმის დირექტორად და-
ნიშნეს და მესამე დღეა, რაც მოადგილე ავად გაუხდა. ეს გარე-
მოება თითქოს არც უნდა დატყობოდა დირექტორის ნორმალურ
მუშაობას, მაგრამ საოცარია, როგორც კი ბენედიქტე საკუთარი
მოადგილის მოვალეობის დროებით შესრულებას შეუდგა. საქმე
და სამუშაომ თითქოს იმატა, ერთაშოდ მოსთხოვეს ათასი საჭირ-
ო რომელ საკუთხის გადაწყვეტა, თოთხოს მართლაც მოადგილე ყო-
ფილიყოს და არა — დირექტორი. მოასწრო მაინც ამ საში თვის
განმავლობაში ტექნიკუმის ხერიანად დათვალიერება, თანამშრო-
მებისა და პედაგოგების გაცნობა, წაგრამ რა იცოდა, რომ
მოადგილე ავად გახდებოდა...

ფიქტები კარის ჭრიალმა შეუწყვეტა ბენედიქტეს, სამაგიეროდ
შეწყდა მისი ფეხსაცმელების ჭრიალი. კაბინეტში მდივანი ქალი
შემოიდა, ხელში ქალალდების დასტუ ეჭირა.

— განცხადებებია, ბენედიქტ ვარლამოვაჩ!

ბენედიქტე მაგიდას მიუჯდა, ტელეფონები მარჯვნივ გადაწყვ
და ავტოკალამი მოიმარჯვა. მდივანმა ქალმა ქალალდებიდან ერ-
თი ფურცელი აიღო და დირექტორს გაუწილა.

— რას თხოულობს ეს! — თითქოს კი არ იყითხა, ბრძანება
გასცა ბენედიქტემ. მდივანმა ქალმა ზურკიდან შემოუარა დირექ-
ტორს და მის ხელებში ათროთლებულ ქალალდს სწრაფად დახედა.

— გიორგი ვაშაძის განცხადებაა, ბენედიქტ ვარლამოვაჩ,
ლექციების დაკლებას თხოულობს, ვერ ვასწრებო.

— ლექციების დაკლებას, თორემ გამომიჩნდა ეგეც აკადემი-
კოსი. — არტისტულად ჩაიცინა ბენედიქტემ.

— გიორგი ვაშაძე აედემიერისია, ბენედიქტ ვარლამოვაჩ! —
წამოიძახა მდივანმა ქალმა.

— მართლად? ჰმ... ჰმ, აკადემიერისი... რა თქმა უნდა, აკა-
დემიერისა, მით უმეტეს, რატომ უნდა დაუკულოთ საათები? — მია-
ფუქრია საქმე ბენედიქტემ და ახლა მეორე განცხადებას დაწედა.

— ეს რალა თხოულობს?

მდივანმა ქალმა კვლავ ჩაიხსდა განცხადებაში:

— ინენერი დავით გორგოძეა, მოსკოვში მიელინებას თხოუ-
ლობს თავისი დისერტაციის საქმეებშე.

— მოსკოვში კი არა, ლენინგრადში არ უნდა?! — კვლავ ჩაი-
ცინა ბენედიქტემ და განცხადება გვერდზე გადადო.

— ლენინგრადში შარშან იყო, ბენედიქტ ვარლამოვაჩ, — შე-
ნიშნა მდივანმა ქალმა.

— მართლად? — კვლავ გორგა ბენედიქტე, — ჰმ, რა თქმა უნდა,
იქნებოდა, რატომაც არ იქნებოდა... მით უმეტეს, ლენინგრადში
თუ იყო, მოსკოვში რალა უნდა? — ბენედიქტემ გადაწყვიტა, რომ
მოადგილის გამოჯანმრთელებამდე და სამსახურში დაბრუნებამდე
არც ერთი საქმე არ გადაწყვიტა დამოუკიდებლად, ვინ იცის,
იქნებ ისეთ ქალალდზე მოაწერინონ ხელი, რომ...

— ამას რა უნდა?! — ბენედიქტემ მესამე განცხადება, უილი,
— ამას არავერი არ უნდა, ბატონო დირექტორო, პირებია,
თვითონ წერს, რატომ არ უნდა დირექტორის, რომ ჩემი უფასოს
პროექტით პატარა ლაბორატორია მივუშენოთ ტექნიკუმს.

— პროექტით თორემ, ეგეც სასახლეებს ამიშენებს!

— აშენებს, ბენედიქტ ვარლამოვაჩ, ჩენი არქიტექტორია... —
მდივანმა ქალმა სიტყვა ველი დამთავრა, რადგან დირექტორმა
გამომცდელად გაუყრა თვალში.

— რა სასახლეებს აშენებს, ქალო? — წამოსცდა უხეშად.

— შრომის სასახლე ააშენა, პიონერთა სასახლეები ააგო რამ-
დენიმე რაიონულ ცენტრში, კულტურის სასახლეთა ტიპიზი
პროექტიც მაგას ეკუთვნის...

ბენედიქტეს თელმა დასხა, მოიხსა, მაგრამ თავი
მაინც ვერსად ვერ დამალა. ასე იყო ერთხანს, მერე გაითიქრა,
არავერი შემატყოს მდივანმა ქალმა, და ისევ ისე გამომართა, გას-
წორდა, შემდეგ განცხადებას დასწევდა:

— ამას რაღა უნდა? — თქვა და კითხეას შეუდგა, მაგრამ თა-
ვისი აყალიბყოფი მოადგილუ გასხვენდა და სიბრაზისაგან გაწილდა.

— ჩვენი სტუდენტის განცხადებაა, — დაიწყო მდივანმა ქალ-
მა, — თვევნს ნებართვას თხოულობს. მეორე უაკულტერის ლექ-
ციებზეც დავესწრები, ორი სპეციალობა მინდა შევისწავლოო.

— ბევრი მოუნდომებია ყმაწვილს, — თქვა ბენედიქტემ, — ას-
ლა ყოველი მეცნიერება ძალიან გართულდა, ორ პროფესიის სტუ-
დენტი ისევე ვერ დაუკულება, როგორც ჩინურ ენას...

— ჩინური ბრწყინვალედ იცის, ბენედიქტ ვარლამოვაჩ!

მდივანი ქალმის ამ სიტყვებზე დირექტორი ისე სწრაფად წა-
მოიჭრა, თითქოს მწარედ უპრეცინებო, თვალები აემღვრა, ლოყები
გაუწითლდა, ენა დაება და ბოლოს ძლიერ დაიქუხა:

— გაეთრიე აქედან, ვის დასცნი შენ!

და კარისკნ თითგავერილი, ქანდაკებასავით გაშეშდა... მდი-
ვანი ქალმა კარგა ხნის „გათრეული“ იყო კაბინეტიდან, ბე-
ნედიქტე კი ისევ იმ პოზაში იდგა. ბოლოს ხელი ჩამოუშვა, სა-
ვარდელში ჩაეშვა და მის წინ ისევ იმ სტუდენტის განცხადება ალ-
მოჩნდა. ბენედიქტემ წაიკითხა — განცხადებას ხელს აწერდა ტექ-
ნიკუმის სტუდენტი გან ლი, ჩინეთიდან საბჭოთა კავშირში სასწავ-
ლებლად წარმოგზავნილი...

ბენედიქტემ თავისი ცოლის ნათესავს, ქალაქის განცხმულ
ექიმს დაურეკა საავადმყოფოში, მოიკითხა და თხოვა: ერთი კარ-
გი მეგობარი გამიხდა ავად და, თუ ძმა ხარ, უარი არ მითხრა, ამ
სალამოს უნდა წამომევე შასთან.

სამსახურიდან „სასახლეში“ შეიარა ბენედიქტემ და ამ გახუ-
რებულ გულზე ასი გრამი ბენედიქტინი გადაპერა.

ედ. შილდინი

— რა უნდა ამ ჩვენს თავმჯდომარეს, უფელა კრებაზე რომ მაშუავება?
— აბა, რა ქნას, უანაში ვერ გამუშავებს და!



ისევ მოხვად ხვალებო

დაჯერებულ იმედით
საქმისათვის მივედი.
— რომ არ დაგალოდინ,
მოდი, ჩერე მოდიო!

რაკი მერე მოდიო,
მერე რა — მივედი.
მეითხა რატომ მოდიო?
კუოხარ რატომ მივედი.
ისევ მერე მოდიო,
ისევ მერე მივედი.



ისევ მეითხა რად მიველ,
ხელი გამომიწოდა,—
ისევ ვუთხარ რად მიველ,
თუმც ვიცოდი, იცოდა.
საქმის ვითარებანი
გულმოდგინედ გამაცნო,
მერე მითხრა:—დღეს წადი,
ისევ მოდი ხვალაცო.



და მეც ისევ მივედი
ათროლებულ იმედით.
კვლავ მოსმენა ისურვა
და კელავ გამომისტუმრა.
ისევ მითხრა მოხვალო,
ასევ მოხვალ ხვალაცო,
და, რა მექნა, მივედი.
მე რა—განა ვზარმაცო?

მოდა, ისევ მივედი,
ხელი გამომიწოდა...
რას მეითხავდა—ვიცოდი,
რას ვეტოდი—იცოდა!



და მას მერე დავდივა,
ხან მცნობს, ხანაც არა მცნობს,
ფა სულ ამბობს—ხვალ მოხვალ,
კიდევ მოხვალ, ხვალაცო.

* * *

ასე ენა ნეტავი
რა სალესზე ალესა,
რომ ვეღარ გადავურჩი
იმის „ხვალე“—„ხვალესა“?

მოხე ძარჩაშა

მარაველი აგანოშა

ნახ. დონიხა




— ჟყალი ხომ არ გნებავთ, იმოლო
პოლიკარპოვი?

პირველი ნაბიჯები

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, დაწესებულებების ხოგიერთ
ხელმძღვანელს ჩამოერთვა სახელმწიფო ავტომანქანა.

1921 წლის 10 მაისი
გვიანი დღეს

ნახ. გ. უირცხალავასი



— ერთი-ორი დღეც, პატივცემულო გაიოზ დომენტის, და სიარულსაც
ისწავლით!

შიკი როგორ ვოდე არ ვინ

სქელ-სქელმა მამაკაცმა ძლიერ აკრი-
ფა ტელეფონის ნომერი და ყურმილს
ჩამოეკიდა. აპარატის სამშაურიანი ხმა-
ურით გააქანა ყულაბაში და ერთ-ერთ
ბინაში ზარი აწერიალდა.

— გისმენთ!
— შენა ხარ, ჩემო სიყვარულო?
— უიმე, რას გიგავს მაგი ჩასაშუალ-
ები ხმა?
— რა იყო, ძვირფასო, რა მოხდა?
— ჩაცეცხლე ხომ კიდევ?
— ვინ მოგახსენა?
— ტელეფონში გამოდის ღვინის
სუნი, შენ ამოგივიდა სული.

— შენს თავს ვფიცავ, ღვინოს ალარ
გავკარებივარ, ენისელი დავლიე, ენი-
სელი.

— ახლა უარესი ოხრობის სმა და-
იწყე?

— ქალო, ვერცხლის მედალი მიიღო
კონიაქებში და არ გამესინჯა?

— რა გენალება, სინჯე და ყარე

შენი ჯამაგირი აქეთ-იქით!

— რა უნდა ვყარო, ტრამვაის ფულს

არ მიტოვებ ჯიბეში!

— კი მარა, ალარ ფიქრობ აწი სახლ-

ში მოსვლას?

— მოვდივარ, გენაცვალე, და სტუმ-

რებიც მომყავს.

— სტუმარი არ გამაგონო, თვარა

ვიკილე ახლა.

— ჩვენი გლავბუზი და რევიზორია.

— გასულ კეირას არ გყავდა მაგ გა-

საჭყველები?

— ეს ახალი ბუხალტერია, ბურ-მა-
რილი ყვარებია, გინდა თუ არა, შენი
საყარელი ოჯახი გამაცანილ.

— თავი გინდა მომშრა უცხო კაცთან?

— შენ რატომ მოგჭრი, ჩემს მოყვა-
ნილ ქათამს მოჭრი თავი და სირცევი-
ლიდან გამოგიყვანს.

— როდის მოგიყვანია, კაცო, ქათა-
მი?

— შენ სულ ასე იცი, კაცს ყველაფ-
რის მოტანას შეაძლებ ოჯახში.

— ნეტა თუ რისიმე მოტანა გიფიქ-
რია როდისმე!

— ქალო, ყველაფრის ხალისი ნუ
დამიკარგე, სარეცხი მანქანა გიყიდე,
მაცივარი დაგიღგი. მეტი რა ვენა? მო-
ვიპარო გინდა?

— ოი, შენ ჩაგაყუდონ ქვესკნელში.
მთლად გადურევია რაცხა ენისეიია თუ
ვოლგა-დონია. ვინმეს მართალი ეგო-
ნება.

— ასე ხომ? აბა, აწი რომ მოგიტან
ის დაიტრაბახე!

— არაფერი არ მინდა შენი. მოდი
და ამ შენ სამ ბავშვს თვითონ მოუ-
რე!

— რაო, რომელ ბავშვებზე მელაპა-
რაკები, დედაკაცო, არ გამაგირო.

— უიმე, ჩემი სიკედილი, ვინ რე-
კავს?

— ვისი ბინაა?

— ტუ-უ, ტუ-უ, ტუ-უ.

არლი თაზაიშვილი

3

31. მატება!

თქვენ ალბათ გაგიკირდებათ, რომ გიგილომ ღამის სკოლა დამთავრა და ოქროს მედალიც მიიღო, მაგრამ არაუშავს, ეს თვითონ გიგილოსაც უკეთეს ერთხელს. ჩვენი, მშობლებს დამსახურებაც სწორედ ამაშია. თერთმეტკლასდამთავრებულმა გიგილომ უკვე ჩინებულად იცოდა, რომ დედამიწა მრვალია და სამხრეთ პოლუსზე აღამიანები თავდაყირა დგანა, რომ გამრავლების ტაბულა რეელის უკანა ყდაზე წერია, რომ შევიზოვა გაგრაშია, თოვლი — ბაკურიაში, ხოლო ქიშმიში — ულიჩში. ასევე კარგად იცოდა მან, რომ იგი დედისერთაა, ნიშვირია, მაგრამ ზარმაცი, და რომ ნაპოლეონი საფრანგეთში დიდი კაცი იყო. როდესაც სახლში იყო, მანიც სულ კითხულობდა:

— მამა, მაყუთი მოიტანე?

— დედა, ამ ქათაში ცალი ბარკალი ჰქონდა?

— დეიდა, დღეს პარასკევია, თუ ორშაბათი?

ასე ცნობისმოყვარე იყო იგი, ცხოვრების ყველა წერილში აინტერესებდა:

დამთავრა თუ არა გიგილომ თერთმეტი კლასი, შეიქრიბა ოჯახის საბჭო ჩემი თავმჯდომარეობით. სსდომის ესწრებოდნენ: სოფულადან საგანგებოდ ჩამოსული ბებია და ბაბუა სათათბირო ხმის უფლებით, გიგილოს დეიდა, მე და ჩემი მეულე გადამწყვეტი ხმის უფლებით. თეთვი გიგილომ სასწრაულ ვარიანტის გამო რესტორან „თბილისში“ იყო გაძობებული და სსდომის საპატიო მიზეზით ვერ ესწრებოდა.

დღის წესრიგი:

1. ნებისმიერი საშუალებებით გამოძენილ იქნას პროტექტორი გიგილოს უმაღლესში მოსაწყობად.

2. გამოძებნილ იქნას თავისუფალი და დამატებითი სახსრები გიგილოს აგარაქზე გასაგზავნად.

3. მიმდინარე საკითხები.

ძირითადი მომხსენებელი მე ვიყავი:

— ნათესავებო და მოყვრებო, — დავიწყე მე, — დღეს ჩვენია სააშიყო შვილმა, როგორც იქნა, მოახრინ თერთმეტი კლასი, ხუმრობა როდია, 14 წელიწადი ისწავლოს ახალგაზრდამ. ახლა ჩვენი გადაუდებელი ამოცანა გამოვძებნოთ პროტექტორი.

— რად უნდა პროტექტორი იქროს მედალოსანს?

— გასაუბრება ხომ იქნება, მანიც საჭიროა!

— მოგვრის თავს გასაუბრებაზე!

— სწორედ ამიტომ დაევალოს გიგილოს დედას გასაუბრებისათვის გამოქმნოს პროტექტორი. დაევალოს გიგილოს ბებიას და ბაბუას უზრუნველყონ გიგილოს უმაღლესში მოწყობის ლონისძიება სოფლის მეურნეობის, როგორც მემინდევრეობის, ისე მეცხოველეობის კარბი პროდუქტებით. ეს არის მომხრე თავი და მიზნის! (ყველამ დაიძნია თავი). მაშასადამე, შინადადება გარიდა ირთობად.

შეორე სიტყვის გარშემო სიტყვა აიღო ჩემია შეულლებ.

— ბავშვი გადაქანცულია, — თქვა მან, — მისი ორგანიზმი მოითხოვს დასკენებას.

— სწორია!

ნახ. დონის



— მაშ მოვკრათ ეს ხე, ამხანაგო აგრძონომო?

— მოჭერით მაშ, ხომ ხედავთ ჩაგრავს ახალ დარგულს.

— სანამ თავი გაუსკდება, გამოელლიტო წიგნი ხელიდან და დაგასვენოთ!

— მაგას აწი ვეღარ გადააჩვევ წიგნის კითხვას.

— სწორედ ამიტომ დაევალოს გიგილოს მამას გამოძებნის დამატებითი სახსრები, ასე ორი-სამი ათასი მანეთის რაოდენობით, და ბაზევი გაგზავნილ იქნას აგარაკზე.

— აერიებთ ჩემ თავს? — ვიღრიალე მე.

— რად გინდა თავი, ბიჭი თუ დაგვეჩიგრა!

ჩემი ცოლის წინადადებით ქამათი შეწყდა!

მიმღინარე საკითხის გარშემო გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ სავიროა ბიჭისათვის შერჩეულ იქნას შესაფერისი ფაკულტეტი. საინტერესო აზრი გამოთქვა გიგილოს ბაბუამ:

— მე თუ მკითხავთ, მაგას უმაღლესი კი არა, 8-ოყიანი თოხი უნდა ექიროს ხელში და ყანაში უყაუნებდეს.

ეს წინადადება ხმის უმრავლესობით უარყოფილი იქნა და გადაწყდა, რომ გიგილო იურიდიულ ფაკულტეტზე შესულიყო.

სხდომამ გვიან ლამებდე გასტანა. გიგილო არ ჩანდა.

დილით ორმა კაცმა შემოიტანა სახლში ჩვენი ბიჭი.

— სად იყავი, შეილო, რავა გაუბედურებულხარ! — მივარდა შეშეფო-თებული დედა.

— საჯარო ბიბლიოთეკაში.

— მართლა თუ? — იქითხა გაევირებულმა დეიდამ და სათვალის ქვემოდან ახედა გიგილოს.

— რავა გადასწორებულ მეტრიკასავით მიყურებ, დეიდაჩემო? — შენიშნა გონიერამახვილმა გიგილომ.

— გაონგებული მთვრალია, ტაშტი დაუდგით. — ვთქვი მე, როგორც გამოცდილმა კაცმა.

— აგია ჩვენი ოჯახის იმედი? — იქითხა ბებიამ.

„ბები, ბები,

ზენ კი გენაცვლები,

ოქროს საფალეს გიყიდი,

როცა დაბრმავდები“. — ანუგეშია გიგილომი.

— გახილეთ ამ წუთში და დაძინეთ! — გავეცი განკარგულება.

— მილიციონერ, მიშველე, მხდარი ბანდიტები!!! — იღრიალა გიგი-ლომ. როგორც იქნა გავხადეთ.

— ბაბუა, თუ ძმა ხარ, ერთი პატარა ბანი მითხარი. — შეეხევეწა გიგილო ბაბუას და დაიწყო:

„დელი, დელი, დელასა,

ჩემი ნაშა ჩამოყება სტრელასა...“

— გაიფუჭებს ხმას ამდენი ღეინის სმით! — თქვა შეწუხებულმა დედონ და მიძინებულ გიგილოს შუბლი დაუკოცნა.

მთელი ოჯახი საგონებელში ჩვევადით. მეტის დაყონება აღარ შეიძლებოდა. ბავშვი შეიძლება ცულ წერტი ჩავარდნილიყო და სმის გადაყოლოდა. მეორე დღესვე გადაესინჯე ჩემი საწყობი, ზედმეტ შაქარს და კარაქს რეალიზაცია გუვავი და ბიჭი გაგრაში გადავმალე.

მოახლოვდა სეტრებმერი, დადგა დრო გიგილოს ჩამოსკლისა და ჩა-მოვიდა იგი დაბრუნული, გარუჯული, ტანჩე და პირზე სამხრეთისმშე-მოყიდებული და გამოცხადდა ასე პირზეად გასაუბრებაზე.

— თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას კითხულობით?

— როგორ გეკადრებათ, ბარონი!

— რას მეტყვით ლეო ქიაჩილის „სისხლზე“?

— ნამდვილად გაეკაცური, ქართული სისხლი აქვს.

ლექტორს გაელიმა, გიგილო გათამამდა.

— გვადი ბიგაზე რაღის იტყვით?

— საუცხოო კაცია, მამაჩემის მეგობარია, სწორედ მაგას სთხოვა მამამ ჩემს შესახებ ეთქვა თევზონის. — თქვა გიგილომ და თავი მორცე-ხად დახარის. ყოველთვის ასე პროტექტორის ხენება რომ დაგვირდება.

— თქვენ გამაგიუებთ! — განგებ გაბრაზდა ლექტორი.

— ნუ გეშინათ, ბარონო, არავინ გვიგდებს ყურს. — დამშევიდა გიგილომ.

— „ვაზის ყვავილობა“ წაიკითხოთ?

— მე იგრონმიულზე არ შევდიგარ, პატივცემულო, იურიდიულზე მინდა.

— ქართულ ლიტერატურაში უვიცი ხართ.

— რუსული მკითხეთ.

— როდის გარდაიცვალა მაიაკოვსკი?


— მიაკოვსკი არ გარდაცვლილა, ის კვლავ ცოცხლობს ჩვენს გუ-ლებში. — დასტევება გიგილომ.

— თავისუფალი ხართ, მიბრძანდით.

და გამობრძანდა ჩვენი ოჯახის სიამაყე.

— ვისია ეს ბიჭი, პატარონი არ ჰყავს? ნეტავი დედამისის! — იკითხა გასაუბრებაზე გიგილოსთან ერთად შესულ გოგონას მშობელმა.

— ჩემია! — ამაყად თქვა გიგილოს დედამ და ისეთი თვალით შემო-ხედა, თითქოს მარტო მას მიუძღვდა ლვაშლი გიგილოს განათლებისა და აღზრდის საქმეში.



— რა დაემართა ისიდორეს?
— ამ დილით ჩეცნ ახალ ღირექტორს შეიხალშა და იატაკშე
შუბლის დარტყმა ზომაზე მაგრად მოუფიდა!



— რა არის სიყვარული, დეიდა ზინა?
— რა ვიცი, გენაცვალე, რამდენიმა
ამისსნა და მაინც ვერ გამაგებინა!

ტ ი რ ვ ე ლ ი ს ი ქ ვ ა რ უ ლ ი

ავყია მეზობლის წეველა თუ აუხდა ელპიტოს ერთას. სიყვარულის ღირსი იყო და მაინც უსიყვარულოდ გაუფრინდა ოქროს წლები.

რა უყოთ მერე თმაში შეპარულ სითეთრეს შავი «ურზოლით». რომ ფარავდა, სახის სიშავეს კი თეთრი «ბელაჟით». ანდა რა დასაძრახია. დაუფიქრებლობის გამო. ლამაზი ხალები მარცხნა ლოყიდან — მარჯვენა ლოყაზე რომ გადმოინაცვლებდნენ ხოლმე!

მთავარი ის გახლდათ, გულმოკლულ გულსავით გემოვნებით გამოწყობილი ბევრი რომ არ დადოდა თბილისის ქუჩებში.

მაგრამ მამასისხლად ნაყიდი «რიპსი» და «აანამა», «კრეპი» და «ეუეტტი» რატომდაც უეჭეტო გამოდგა და პატარა დანით გულმოდგინედ წამწამებაკეცილიც გულნარამ ვერავითარი ეუეტტი ვერ მოახდინა მამაკაცებზე.

საქმეს ვერც სამოკუნახევრიან კაუჩუკებზე შესკუბებულმა ზამშის ტუფლებმა უშველა. სიყვარულშიც ისე დამარცხდა გულო, როგორც ერთ დროს უმაღლესში მისაღებ კონკურსზე.

და რაც დრო გადიოდა, მით უფრო ჯიუტად მისდევდა მოდებს, მისდევდა კი არა, ეწეოდა და ხშირად უსწრებდა კიდეც...

და ა. ერთ ჩევულებრივ დღეს მოხდა ის არა-ჩევულებრივი, რასაც წლების მანძილზე გულის თრთოლვით ელოდა გულმოკლული გული.

კოსმეტიკის კაბინეტიდან მომავალმა გულომ ტრამგაის გაჩერებასთან მამაკაცის ვნებიანი თვალები შენიშვა, რომელიც მოპირდაპირე საცხოვრებელი შენობის სარკმლიდან გამოსცეროდა მას.

ეს იყო აღმოჩენა, კაცობრიობის ყველა აღმოჩენის დარი. და იმ ღამეს თავის ტკივილის აბები აღარ უყლაპია ელაიტოს ერთას.

მეორე დღესაც გამოღებულ სარკმელთან დახვდა გულის ულვაშებაწევილი რაინდი. მხოლოდ წულით, ერთი წუთით შეცვდნენ მათი თვალები და

ვინ იტყვის. რამდენი სითბო და ნაზი გრძნობა ამოკითხს ამ გამოხედვაში გულომ.

კაცი წამოდგა. სწრაფად მიხურა სარკმელი. და ქუჩაში გამოვიდა. ხეს ამოფარებული ჯერ ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდა გულოს.

«მორცევია, მორცევი. ჩემი ჯონი... არა, ჩემი ტონი... ტონიო კი არა. ჩემი ანტონიო...» ფიქრობდა მღელვარებისაგან აცახცახებული გულო და მაჭარივით აჩქერებული სისხლი საფეხლებთან სცემდა.

და რადგან სამშა ტრამგამ უკვე ჩაიარა. მეოთხე ტრამგაიში ხოსნივით აგოგმანდა გულო და დამტერილი მინიდან მიბნედილი თვალებით გადმოხედა ანტონიოს.

ანტონიო კი იდგა. იდგა ხელში ფანქარ და ბლოკნოტშერჩენილი და მწუხარე სახით გასცეროდა გაფრენილ შედნიერებას...

ასე დაიწყო ელპიტოს ერთას პირველი სიყვარულის ისტორია.

სიყვარული აგვამაღლებსო — ნათევამია. და გულანთებული გულო ხუთნომრინიან ქუსლებიდან — რვანომრიან ქუსლებზე გადასკუბდა; გადასკუბდა და წერილი წერილზე აფრინა სოფელში: არიქა, ვთხოვ-დები, უშობელი გაყიდეთ და ახალი კაბისათვის უზლი გამოგზავნოთ.

მთელი დღე მომრგვალო სარკეში — მოგრძო სახის გულდასმით შესწავლამ ბოლოს და ბოლოს იმ დასკუნამდე მიიყვანა გულო, რომ მას მარჯვენა პროფილი. მარცხნა პროფილზე ოდნავ უფრო სიმპათიური ჰქონდა. ამიტომაც იყო კოსმეტიკის კაბინეტიდან მომავალი, ტრამგაის გაჩერებასთან მუდამ მარჯვენა მხარეს ჯერანივით ყელმოღერებული რომ ჩამოდგებოდა ხოლო. ჩამოდგებოდა და ტუშტაკრული წამწამების ხამამით საოცნებო სარკმელს შეავლებდა თვალი.

საოცნებო სარკმელში კიდევ უფრო საოცნებო ანტონიოს გამოჩენა იცნებად გადაექცა გულოს.

და ანტონიოს მოსხილად. მის დასატყვევებლად — უშობელის საფასურით — ახალი, ჯერ არსად-ნახული კაბის შეკერვა გადაწვერა გულომ.

დეკოლტეს ფორმა ფრანგული მოდების უურნალიდან შეარჩია. რეგლანი სახელოებისა კი — ინგლისურიდან. სხვა უცხოური უურნალებიც გადაქვექა გულომ და მაღლე ისეთი კაბა შეიკერა, რომ ანტონიომ მართლაც ვეღარ გაუძლო ცდუნებას და ორი დღე ციცინათელასვებით გარს ევლებოდა.

მაგრამ ავყია მეზობლის წყევლამ აქაც უწია გულოს.

ერთხელ, ის იყო, გულო საკომისიო მაღაზიაში აირებდა შესვლას, რომ წინ ვიღაც ტანცერწეტა ქალი შემოხვდა. თვალებდაჭყუტილი დაცერერდა უცნობს ელპიტოს ერთა. ეგონა შევცდიო, მაგრამ არა, არ შემცდარა! ამ ქალსაც ზუსტად ისეთი კაბა ეცვა. რომელიც სულ ახლახან თავისი მდიდარი ფაზაზის წყალობით შეიკერა გულომ.

უნგბურად შეავლო მყლავზე ხელი და მხოლოდ მაშნდა გამოერკვა, როცა შემკრთალი ქალის გაოცებულ სახეს შეხედა.

— მაპატიეთ. აი, ის... აი ეგ... — დაბნეულად ჩაილაპარაკა გულომ. — მე მინდოდა მეკითხა. ეგ კაბა საღ შეაკერნეთ...

— ააა! კაბა?! — გადაიკისისა უცნობმა, — ეს კაბა ჩემმა მეკრავმა შემიკერა... რატომ მეკითხებით? გინდათ მისამართი მიგასწავლოთ?

— დიახ, დიახ, — კვლავ აპნეულად ჩაილურლული გულომ, — მაგრამ ფასონი... ნეტა ფასონი საიდან და გადმოილო?

უცნობმა აბრეშუმის ცხვირსახოცი მოისვა ტუჩებზე და ღიმილით უთხრა:

— ასე მითხრა. შევბულება უქმად არ დამიკარგავს. ვიღაც მოღებზე გაგიერბულ ტუტრუცანა ქალს დავდევდი და ქუჩა-ქუჩა ვიხატავდი ფასონს. აი, იქ ცხოვრობს, ტრამგაის გაჩერებასთან... სერიკ ბადალოვი იკითხეთ... ატელიე კი ვერაზე აქვა...

უცნობი წავიდა და თან წაიღო გულმოკლულ გულოს პირველი სიყვარული.

6 თებერვალი

მერვე წელია, რაც ჩვენს სოფელს ზნაურ-კაუს სასმელი წყალი არა აქვს, ვართ რუებისა და წუმპების ამარა, ვწვალობთ, ფულს ვიხდით, ვწერთ, ვთხოვთ, მაგრამ ჩვენი „გამეოთხავი“ არავინა ჩანს.

— მეო? — გამოგვიცავა 7 წლის წინათ ჩვენი კოლმეურნეობის მაშინდელმა თავმჯდომარებ გაგიერმა, — მე რა გამიძნელდება, მოიტათ, ხალხს ფული გავწეროთ, თანხები შევაგროვოთ და ისეთ წყაროებს გამოვიყვან — უკვდავების წყარო მასთან სათქმელი არ იყოსო.

გავაწერეთ კოლმეურად, ფული გაგიერს ჩავაბარეთ, მან კი... არ ვიცით რა დანიშნულებას მოახმარა ის ფული, ვიცით მხოლოდ, რომ ჩვენს იმედს ჩაილულის წყალი დაალევინა, ჩვენ კი უწყლოდ დავრჩით.

ღრმ გავიდა, გაგიერი მ. გატიკოევმა შესცვალა, მანაც ფული გააწერა, თანხები შეექიბა და კელავ მწყურვალნი და-გვტოვა.

ღრმ გადის, ვემუდარებით სოფლის საბჭოს და ოლქის მესვეურებს, ვწერთ და ვგწერენ, დგას ქალალდების კორიანტილი, „უკვდავების წყარო“ კი მაინც არსად ჩანს.

და ასე, ჩვენი სოფელი კვლავ უწყლოდა. როდემდის?

ო. გოგოზოვა,

(მუშგლეხკორთა ყრილობის მონაწილე)

გვიშვილება, ძალო ნიანგო!

სოფელი ბაში (სამტრედიის რაიონი) მოკლებულია ელგანათებას და რადიოს, ავარიულ მდგომარეობაშია ბაში-იანეთის გზატკეცილი.

ნიანგო, ბაში შველას გთხოვს და გვწამს, რომ მოგვეშველები. სამი რამ სტკივა ჩემს სოფელს: თვალი, ყური და ხელები. ლამეა, გზაზე დაღვომას როდი მიჩრევენ ჩვენები, — იანეთიდან — ბაშამდე მოვდივარ სვენებ-სვენებით.

წაქცევა ღმერთმა გვაშოროს! ვეურდნობი მოზრდილ ჩემოდნებს,

გვერდების დასკრას ვინ ეძებს, ტალახში არ ჩავრჩებოდე! ჩემი ბარგი და ბარხანა ხშირად გავშალე ლოგინად — ზან ნავად გამოვიყენე, ხან კი ხიდად და ბოგირად. განსაკუთრებით ზამთარში, როცა წვიმები ხშირდება, სოფელი ბაში რაიონს თბილისით უკავშირდება. ბოდიში, ჩვენო სოფსაბჭოვ, ლამე ტალახში ვათიო?!

ჩეარა გვეირდება სამი რამ: გზა, ელშუქი და რადიო!

სამსონ კაშხაძე

(მუშგლეხკორთა ყრილობის მონაწილე)

„ისრონ გადინაღია“

ალბათ გაგიგონია, ნიანგო, ერთ ხალხურ სიმღერა-ზი მოთხოვობილი ამბავი — ავთანდილმა „ქედი მაღალი ტყიანი“ როგორ გადინაღირა.

სოფელ ჯიმითში ალმოვა-ჩინეთ, რომ ის „ავთანდილი“ თურმე ჩვენი ტყის-მცველი იასონა ჯაფოშვილი ყოფილა. იასონა „უვლის“ ჩვენს ტყეს... დაცის მიზნით კი არა, უვლის იმიტომ, რომ ამ შემოვლის ღრის დაიჭიროს და აქტები შეუ-

დგინოს ტყის ქურდებს, შემდეგ მათ მოურიგდეს „აქტების დახვევაზე“ და მიიღოს „გამოსარჩენი“.

ასე ნადირობს იასონა ჯაფოშვილი ჩვენს ტყეში და „ნანაღილევსაც“ საქმაოდ ლებულობს ყანდაურაში, ჯიმითსა და შიბლიანში.

რას იტყვი, ნიანგო, განაღო არ არის იასონ ჯაფოშვილის სიმღერას შესაფერისი ბანი დააწიონ?

დიმაზე

ეჭვიანი

ცალკეული
გიგანტის

ეს არამკითხე ცხვირსა ჰყოფს

შეელგან —

ვინ რას აქერებს და რა მოტივით?

ულრუბლო ცაზეც ღრუბლებსა

ხედავს

და ლანდებს ეპრძვის

დონებოტივით.

ხშირად ამოწმებს სასწორის

გირებს,

ჩხირკედელაობს ღამეც და დღეცა.

ის თვისი თვალში ვერ ხედავს

დირეს,

სხვის თვალში ეძებს პატარა

ბეჭვსაც.

აინტერესებს «ენობისმოყვარეს»:

ეს რა კაცია, ის რა კაცია;

ვის რა აჩუქეს, ვის რა მოპარეს,

ან რით დაიცვეს დისერტაცია?

ხელთ თუ ჩიგდონ ვინმეს დიპლომი,

ზედ ეძებს რაღაც პურ-ღვინის

ლაქებს;

ბოლოს და ბოლოს რამეს იძოვინის,

საქებს კილავს და საკილავს —

აქებს.

მას ყველაფერზე უყვარს კრიტიკა,

თავი გონია მეტად შევინა.

საკუთრ ლანდსაც უზუერს ირიბად,

ახირებული და ეჭვიანი.

ასე ეჭვების მორევში მიდის,

აღარაფერი სწამს ჩვენებური,

ასე პგონია ქვეყნა დიდი

დოკებით არის აშენებული.

კარგი იქნება, ასეთმა კაცა,

რომ დაპყოლია ეჭვების ნიჭი,

თუნდ ერთხელ მაინც, ფხიშლად და

მკარუად

საკუთარ თავსაც შეხედოს იჭვით.

გ. ვერეთილი

გელახლი გისლამვალი

ნახ. დ. ერისთავისა



— რაფოზ არ გახდები საზოგადოება „ტყის ზეგობრის“ წევრი?

— სინდისი ნებას არ მაძლევს!



ზაფხულის უგამყიდველოდ

გამყიდველი უმაღლოდ

წერიწადის ძროთა ნიშნები

გაზაფხული — ბალებისა და პარკების დირექტორი გვაუწყებენ, რომ მათ დარგეს ათასობით ხე და ათიათასობით ბუჩქი... ქალალდე. თავს იჩენს ავადმყოფობა, რომელიც ზამთრის დადგომამდე ეპიდემიურად ვრცელდება. ამ ავადმყოფობას ეწოდება ბურთელობა. დაავადებულს ეკარგება ძილი, მოსვენება. მძიმე ფორმებში — მაღა, შრომის ხალისი. მისგან განკურნება მხოლოდ დროებით შეიძლება — სტადიონების ტრიბუნებზე მზის აბაზანების მიღებით (ზოგჯერ წევიმის შხაპებითაც!). ავადმყოფობა გადამდებია. ახალი პრე. პარატი — „ტელევიზორი“, ალბათ, ვერ იმოქმედებს მძიმე ავადმყოფებზე.

ზაფხული — მის დადგომას პირველად შეიტყობით წყალ-საღენის ტრესტის საშუალებით: კვირაში ექვს დღეს წყალს დაგიწყვეტენ. ამ დროს მაღაზიებში ფართო ასორტიმენტით გამოაქვთ ბოტები, თბილი ქურქები, თექის ჩექები, ყურებინი ქუდები... იწყებენ საზაფხულო კინოთეატრების რემონტს. გამოდის უკვე მიმავალი წლის კალენდარი ქართულ ენაზე. გაახსენდებით სოფელში მცხოვრებ შორეულ ნათესავს და შეიძლება ძალიანაც შეუყვარდეთ, თუ მისმა შეიღმა საშუალო სასწავლებელი უკვე დამთავრო.

შემოღვაზა — შეებულებაში წავა შენი დაწესებულების დირექტორი, უფროსი, მმართველი... კახეთის მატარებლებში ნების არ ჩავარდება. შენი სახლი დაემსგავსება სასტუმროს. ასე გაგრძელდება მომავალი წლის ივნისის ბოლომდე (თუ შენი სტუმარი იანვარშივე არ გარიცხეს).

ზამთარი — როცა გაგრის დასასვენებელი სახლის საგზურს შემოგთავაზებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ზამთარი დამდგარა. მაღაზიებში ფართო ასორტიმენტით გამოაქვთ პეპლების დასაქრი ბადეები, ჰამაკები, უსახლებო მაისურები... როგორც იყო, მოთავდა რემონტი და საექსპლოატაციოდ მზადაა საზაფხულო კინოთეატრები.

რაზიელ მაჟულაშვილი

ჩელაბერი — ელგუჯა მაღრაძე.

სპრინტის კოლეგია: ა. ბელიაშვილი, მ. გიგინეიშვილი,
ვ. თორდუა, კ. ლორთქიანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჭავში.

ნამ. ჯ. დოლუაბა
ერთობლივ
მიმდინარეობა

127
3/12

„კარაგალი ნაკვესები“

1. უატრი სპექტაკლს დგამდა, მაყურებელი კი სტენით იღებდა.

2. „სიყვარული აგვამალლებსო“ — მოიგონა რუსთველის სიტყვები დაბალი ტანის ყმაშვილმა და სრყვარულის სახმილი წაეკიდა.

3. ქმარს რევიზია ეხვია, ცოლს კი — „ჩერნობურკა“.

4. ახალგაზრდა პოეტს ისე უყვარდა სხვისი ლექსები, საკუთარში არ გამოერჩოდა.

5. სტუდენტმა თქვა: ლმერთია სამებით და მე რომ ვიყო, რა მოხდებაო.

შეკრიბა არღო თაყაიზილება

„ნიანგის“ ლექსიკონი

გლისერი (მტკვარზე) — ისეთი კარგია, რომ მისი მსგავსი მეორე არ დადის ჩვენს ქალაქში.

კომპასი — ძველად ხმარობდნენ ქვეყნის მხარეების (დასავლეთის, აღმოსავლეთის და ა. შ.) გასანებად, ფეხბურთის სტადიონების აუნების შემდეგ მნიშვნელობა დაპქარგა.

შემოქმედებითი პრინციპი — რაც პირადად არ განეცადა, იმის შესახებ არაფერს არ წერდა მწერალი, ამიტომ მის რომანებში არავინ კვდებოდა.

ეროსი ზანჯვალაძე — ბრწყინვალედ გაღმოსცემს ოიდიპოსის განცდებს, „მაგრაამ... თუმცა, არა...“ ფეხბურთის მატჩებსაც კარგად გაღმოსცემს.

ვარსკელავებს ეთაზაშებოდა — გამოთქმა, ეთამაშებიან ხოლმე სამ, ოთხ, ან ხუთ ვარსკელავს, დამოკიდებულია კონიაზე და ხასიათზე.

ფიგურალური გამოთქმა — „ბ. გურგენიძემ თავისი ფიგურებით შეავიწროვა გროსმეისტერი ბრონშტეინი და დაამარცხა“. (გაზეთებიდან)

ომეგა ალფაიგი

საქ. ქართველური
კომიტეტის
გამომცემლა

3-10-49

თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთველის პროსპ. № 42 ტელ. 3-76-69

გამომც. № 5, ხელმოწ. დასაბ. 13, III-1957 წ. ქაღ. ზომა 70X108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფიულმანატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14.

შეკვ. № 312. უ. 00988. ტირ. 30.000.

საქართველო
განათლების
მინისტრი

ნაზა



ნაზა

უკანასკნელ თვეებში ჩრდილოეთ არ-
ლანტიკის „თავდაცვითი“ ბლოკის არ-
მისის რიგებში შევიდა ცამეტი ათასი ეს-
ხელი ოფიცერი.

განეთებიდან

